საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

N 09/5752
25/08/2021

5752-09-2-202108251741

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს
მის: ქ. თბილისი, იოველ ჯეგაშვილის 1-ლი გას. N5
ელ ფოსტა:vakhtang.kobaladze@csrdg.ge

თქვენი 2021 წლის 25 აგვისტოს N20223 წერილთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ 2021 წელს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ რძესა და რძის პროდუქტებში მცენარეული ცხიმების აღმოჩენის 5 შემთხვევასთან დაკავშირებით მოხდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმირება. აღნიშნული 5 შემთხვევიდან ერთ-ერთი დაკავშირებულია ინდივიდუალურ მეწარმესთან, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წარმოადგენს ფიზიკურ პირს. შესაბამისად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული არ წარმოადგენს ღია ინფორმაციას, ვინაიდან შეიცავს პერსონალურ მონაცემებს. აქედან გამომდინარე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გადმოგცეთ აღნიშნული ინფორმაცია. დანარჩენ 4 შემთხვევასთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

1. კარაქი უმაღლესი ხარისხის, ცხიმის მასური წილი 82%; დამზადების თარიღი: 15.11.2020; მწარმოებელი: სს „სლუცკის ყველის კომბინატი“, ბელორუსი ქ. სლუცკი; დისტრიბუტორი: შპს „დავითი“ (ს/კ 446967774 მის. ქ. ბათუმი ტაბიძის ქუჩა № 56); ნიმუშის აღების ადგილი: შპს „აისბერგი-9“ (სასურსათო მაღაზია, მარკეტი); ლაბორატორიული დასკვნის თარიღი: 23.06.2021; ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმირების თარიღი: 25.06.2021.
2. გურჯაანის ნაყინი „პლომბირი ვანილის არომატით“; დამზადების თარიღი: 02/06/2021; მწარმოებელი: შპს „აისი“ (მის: ქ. გურჯაანი, ევდოშვილის ქ. № 37, ს/კ 227721310); ნიმუშის

აღების ადგილი: შპს ბალუ 2 (სასურსათო მაღაზია, მარკეტი); ლაბორატორიული დასკვნის თარიღი: 22.06.2021; ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმირების თარიღი: 25.06.2021.

3. ნაყინი „პინგო“ (ბრიკეტი); დამზადების თარიღი: 15/03/2021; მწარმოებელი: შპს „4 ბროსი“ (ს/კ 427721245; მის: ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, ორახელაშვილის №5); ნიმუშის აღების ადგილი: შპს ზღაპარი (სასურსათო მაღაზია, მარკეტი); ლაბორატორიული დასკვნის თარიღი: 22.06.2021; ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმირების თარიღი: 25.06.2021.
4. ყველი იმერული; დამზადების თარიღი: 13.07.2021 ვარგისიანობის ვადა - 14 დღე. მწარმოებელი: რკ „ქალთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი დისველი“ (ს/კ 425359444) ფაქტიური მისამართი: ქვემო ქართლი, ბოლნისის რაიონი სოფელი დისველი; ნიმუშის აღების ადგილი: რკ „ქალთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი დისველი“ (ს/კ 425359444), ბოლნისის რაიონი სოფელი დისველი; ლაბორატორიული დასკვნის თარიღი: 19.07.2021; ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმირების თარიღი: 21.07.2021.

რაც შეეხება 2020 წელს, სააგენტოს მიერ არ მომხდარა რძესა და რძის პროდუქტებში მცენარეული ცხიმების აღმოჩენის შემთხვევასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმირება.

აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან არ მიუღია ინფორმაცია ზემოაღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე.

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი